Diversey
A SOLENIS COMPANY

Orion Suma Expert

ჭურჭლის სარეცხი სითხე ხელით რეცხვისათვის

აღწერა: **Orion Suma Expert** არის კონცენტრირებული, პრემიუმ კლასის, ნეიტრალური ხელის ჭურჭლის სარეცხი სითხე ქვაბების, ტაფების, მინის და ყველა სარეცხი ჭურჭლის გასარეცხად.

ძირითადი მახასიათებლები:

Orion Suma Expert არის კონცენტრირებული ნეიტრალური თხევადი სარეცხი საშუალება, რომელიც გამოდგება სამზარეულოს ყველა ჭურჭლის ხელით გასარეცხად. პროდუქტი წარმოადგენს ანიონური ზედაპირულად აქტიური ნივთიერებების ოპტიმალურ ნაზავს, რომელიც აშორებს ცხიმს და გამომშრალ საკვებს, აადვილებს ჩამორეცხვას და არ ტოვებს ლაქებს.

უპირატესობები:

- კონცენტრირებული ფორმულა უზრუნველყოფს შესანიშნავ ეკონომიურ გამოყენებას.
- აშორებს ცხიმს და გამომშრალ საკვებს.
- არ აშრობს კანს.
- მარტივად ხდება ჩამორეცხვა და არ ტოვებს ლაქებს.
- მდგრადი ქაფი ხანგრძლივი წმენდის ეფექტურობას უზრუნველყოფს.

გამოყენების წესები: გამოიყენეთ **Orion Suma Expert** -ის 1-4 მლ კონცენტრაციით 1 ლიტრ თბილ წყალში. ძლიერ დაბინძურებული ნივთებისთვის შეიძლება საჭირო გახდეს უფრო მაღალი კონცენტრაცია. დაბინძურებული ჭურჭელი დაასველეთ და გარეცხეთ ქსოვილით, ფუნჯით ან ღრუბლით. შემდგომ გაავლეთ გამდინარე წყლით და გააშრეთ.

ტექნიკური მონაცემები

გარეგნული ფორმა: გამჭირვალე, მწვანე სითხე

შედარებითი სიმკვრივე [20 ºC] - 1.03

Ph (1% ხსნარი 20 ºC–ზე) - 6,5-7,5

ზემოთნახსენები მონაცემები წარმოადგენენ ტიპიურ სიდიდეებს და სპეციფიკაციებად არ უნდა განიხილებოდნენ.

ინფორმაცია უსაფრთხო დამუშავებასა და შენახვაზე:

შეინახეთ თავისივე კონტეინერში დახურულ მდგომარეობაში ან (სადაც შესაძლებელია) სპეც. განკუთვნილ ცისტერნაში, მოარიდეთ მაღალ ტემპერატურას. (0°C და >35°) პროდუქტის გამოყენებისა და განთავსების შესახებ სრული ინსტრუქციის ნახვა შესაძლებელია არსებითი უსაფრთხოების მონაცემების ფურცელზე.

პროდუქტის თავსებადობა

რეკომენდებული გამოყენების პირობების დაცვით, Orion Suma Expert გამოდგება სამზარეულოში ხშირად გამოყენებული ყველა მასალისთვის.

Cleantech